ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრის მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის პროფესიულ ტესტირებაზე რეგისტრაციის ვადების გამოცხადებისა და პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 22 აგვისტოს №947 ბრძანების, სატელევიზიო სასწავლო ცენტრის დირექტორის ზურაბ ოშხნელის 2014 წლის 27 აგვისტოს №03-21400/14 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრის პირველ დანართში მითითებულ მეოთხე საფეხურის პროფესიულ პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველ სრული ზოგადი განათლების მქონე პირთა პროფესიულ ტესტირებაზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 6 სექტემბრიდან 20 სექტემბრის ჩათვლით, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე (მის.ჭავჭავაძის 32, ოთახი A306);
2. პროფესიულ ტესტირებაზე რეგისტრაციის მსურველმა პირებმა უნდა წარმოადგინონ პირადობის მოწმობა;
3. პირველ პუნქტში მითითებულ რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ - მარიკა გალოგრე და იოსებ მჭედლიშვილი;
4. ამ ბრძანების მესამე პუნქტში მითითებულ პირებს დაევალოთ რეგისტრაცია მოახდინონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებულ ტრენინგებზე მიღებული ინფორმაციის შესაბამისად;
5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრის დირექტორს ზურაბ ოშხნელს;
6. უნივერსიტეტის სამდივნოსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოთ ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

7. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა;

8. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები სამდივნოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრს.

რექტორი **გიგა ზედანია**